რა უნდა ვიცოდეთ

ნარჩენების შეგროვებისა და დამუშავების დროს

ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული საქმიანობის რეგისტრაცია

თუ ხართ ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც ეწევა

- ნარჩენების შეგროვებას ან/და ტრანსპორტირებას;
- 50 ტონაზე მეტი არასახიფათო ნარჩენის დროებითი შენახვის ობიექტის მოწყობას და ოპერირებას;
- არასახიფათო ნარჩენების წინასწარ დამუშავებას (მაგ. დაშლა, დაჭრა, დაპრესვა, დაქუცმაცება და სხვა);
- არანაკლებ 2 ტონა და არაუმეტეს 10 ტონა სახიფათო ნარჩენის დროებითი შენახვის ობიექტის მოწყობას და ოპერირებას:

გავლილი უნდა გქონდეთ **რეგისტრაცია ნარჩენების მართვის ელექტრონულ სისტემაში** (საქართველოს მთავრობის N 144 დადგენილება[1]). თუ თქვენ ჯერ არ გაქვთ გავლილი რეგისტრაცია, თქვენ ჯარიმის[2] საფრთხის წინაშე დგახართ, რომლის ოდენობაც, საქმიანობის ტიპიდან გამომდინარე, მერყეობს 1000-2000 ლარის ფარგლებში.

ნარჩენების მართვის მონაცემთა ბაზაში რეგისტრაციის გავლა შესაძლებელია გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ელექტრონულ გვერდზე waste.moe.gov.ge. რეგისტრაციისას პირველ რიგში უნდა გაიაროთ ავტორიზაცია („RS ავტორიზაცია“ ღილაკზე დაჭერით). ავტორიზაციის გასავლელად უნდა მიუთითოთ პასუხისმგებელი ფიზიკური/იურიდიული პირის საიდენტიფიკაციო კოდი და პაროლი. სისტემაში შესვლისას თქვენ ავსებთ პერსონალურ მონაცემებს და საქმიანობის რეგისტრაციის განაცხადის ფორმას, რომელშიც უნდა მიუთითოთ ინფორმაცია თქვენი საქმიანობის შესახებ და საქმიანობის განხორციელების მისამართი, საქართველოს მთავრობის N144 დადგენილების[1] მოთხოვნების შესაბამისად. რეგისტრაცია ერთჯერადი და უვადოა. სამინისტრო 10 დღის ვადაში ახდენს საქმიანობის განაცხადის განხილვას. თუ განაცხადი და თანდართული დოკუმენტები სრულად არის შევსებული/წარდგენილი, სამინისტრო დაადასტურებს, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ განაცხადი ან/და თანდართული დოკუმენტები არ არის სრულად შევსებული/წარდგენილი, სამინისტრო აცნობებს განმცხადებელს აღნიშნულის თაობაზე ელექტრონულ სისტემაში კომენტარის სახით. დასტურის ან/და კომენტარის ნახვა შესაძლებელია მომხმარებლის გვერდზე.

საქმიანობის რეგისტრაციის დადასტურების შემდეგ, რეგისტრირებულ პირს კონკრეტულ საქმიანობაზე ენიჭება საქმიანობის რეგისტრაციის განაცხადის ნომერი. მონაცემთა ბაზის სისტემაში შესვლის შემდეგ თქვენ შეგეძლებათ ელექტრონულად შეავსოთ და წარუდგინოთ სამინისტროს კანონმდებლობით სავალდებულო ნარჩენების აღრიცხვა-ანგარიშგების ფორმები. ფორმების შევსება ხდება წელიწადში ერთხელ, მოიცავს გასული კალენდარული წლის მონაცემებს და იგზავნება მომდევნო წლის **1 მარტამდე**. წარმოქმნილი ნარჩენების შესახებ აღრიცხვა-ანგარიშგების ფორმების შევსების დეტალური ინსტრუქცია იხილეთ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანებაში: №2-11 „აღრიცხვა-ანგარიშგების ელექტრონული ფორმებისა და ნარჩენების მონაცემთა ბაზის ელექტრონული ფორმების შევსების წესის შესახებ“.იმ შემთხვევაში თუ თქვენ არ წარადგინეთ აღრიცხვისა და ანგარიშგების ფორმა ჯარიმის ოდენობა განისაზღვრება 200 ლარით.

[1] საქართველოს მთავრობის დადგენილება №144 „ნარჩენების შეგროვების, ტრანსპორტირების, წინასწარი დამუშავებისა და დროებითი შენახვის რეგისტრაციის წესისა და პირობების შესახებ“

[2] ნარჩენების მართვის კოდექსი

ნარჩენების მართვის გეგმა

ნარჩენების მართვის გეგმის შედგენა და სამინისტროსთვის მისი წარდგენა გევალებათ იმ შემთხვევებში თუ თქვენი საქმიანობის შედეგად წლის განმავლობაში წარმოიქმნა:

- **120კგ-ზე** მეტი რაოდენობის სახიფათო ნარჩენი;
- **200 ტონაზე** მეტი არასახიფათო ნარჩენი;
- **1000 ტონაზე** მეტი ინერტული (სამშენებლო)ნარჩენი.

რა არის სახიფათო ნარჩენი?

ნარჩენი, რომელიც ავლენს ერთ ან მეტ სახიფათოობის მახასიათებელს განიმარტება როგორც სახიფათო ნარჩენი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თუ ნარჩენი შეიცავს ისეთ ნივთიერებას, რომელიც არის ფეთქებადი, მუანგავი, აალებადი, გამაღიზიანებელი კანთან ან ლორწოვან გარსთან შეხებისას, ჯანმრთელობისთვის მავნე მისი შესუნთქვის ან ჩაყლაპვის დროს, ტოქსიკური, კანცეროგენული, კოროზიული, ინფექციური, მუტაგენური და სხვ. წარმოადგენს სახიფათო ნარჩენს.

ნარჩენების კლასიფიკაცია ხორცილედება საქართველოს მთავრობის 2015 წლის 17 აგვისტოს N426 დადგენილების „სახეობებისა და მახასიათებლების მიხედვით ნარჩენების ნუსხის განსაზღვრისა და კლასიფიკაციის შესახებ“ შესაბამისად.

ნარჩენების მართვის გეგმის წარდგენა ხდება ნარჩენების მართვის მონაცემთა ბაზაში არსებული შესაბამისი ელექტრონული ფორმის შევსებით. გეგმის ელექტრონულად შევსება შესაძლებელია თუ თქვენ უკვე გავლილი გაქვთ რეგისტრაცია და შეგიძლიათ მონაცემთა ბაზაში მომხმარებლის გვერდზე მუშაობა. ნარჩენების მართვის გეგმის ელექტრონული ფორმა ივსება საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის ბრძანების, №211 “კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმის განხილვისა და შეთანხმების წესის დამტკიცების შესახებ“, და ნარჩენების მართვის კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად. ნარჩენების მართვის გეგმა მოიცავს მაქსიმუმ 3 წლის პერიოდს. გეგმაში ასახული პერიოდის გასვლის შემდგომ ან მასში რაიმე ცვლილებების შეტანის შემთხვევაში შეძლებთ გეგმის მარტივად განახლებას. ნარჩენების მართვის გეგმის წარუდგენლობა გამოიწვევს დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით.

ნარჩენების შეგროვება-დამუშავებასთან დაკავშირებული საფრთხეები

ნარჩენებთან მუშაობა დიდ სიფრთხილეს მოითხოვს. საქმის არასწორად წარმართვის შემთხვევაში საფრთხის წინაშე დგანან არამარტო უშუალოდ ამ პროცესში ჩართული ადამიანები, არამედ ირგვლივ მცხოვრები მოსახლეობა და გარემოც. მაგალითად, ნარჩენების არასწორი განთავსება ან მათი დამუშავება სპეციალური დამცავი ტანსაცმლის ან ტექნიკის გარეშე მომუშავე პერსონალის ჯანმრთელობისათვის საფრთხის შემცველია; ნარჩენების შემგროვებელი პუნქტების ტერიტორიაზე სხვადასხვა დანადგარებიდან შეგროვებული ნარჩენი ზეთების ან ფრეონის გაჟონვის შედეგად გარემო და მოსახლეობა სახიფათო ქიმიური ნივთიერებების ფართო სპექტრის ზემოქმედების რისკის ქვეშ დგება; ადამიანებისათვის და გარემოსათვის ასევე რისკის შემცველია ნარჩენების გადაზიდვისათვის შეუსაბამო და ტექნიკურად გაუმართავი ტრანსპორტი.

ნარჩენების მართვის კანონმდებლობით დაწესებულ მოთხოვნებთან შეუსაბამო მოქმედება ბიზნესს წამგებიან მდგომარეობაში აყენებს. გარდა იმისა, რომ იზრდება ინციდენტების, საგანგებო სიტუაციების, გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე უარყოფითი ზემოქმედების ალბათობა, ასეთი ბიზნესი არ არის მიმზიდველი პარტნიორებისთვის. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თუ თქვენს ობიექტზე დაცული იქნება გარემოსდაცვითი და უსაფრთხოების ნორმები, გაიზრდება თქვენი კონკურენტუნარიანობა და კომპანიები, რომლებსაც ევალებათ ნარჩენების მართვის ორგანიზება, მომსახურების მისაღებად დაგიკავშირდებიან თქვენ. ნარჩენების მართვის ბაზაში თქვენი ობიექტის რეგისტრაცია ასევე გაზრდის თქვენი ობიექტის ცნობადობას და პოტენციურ კლიენტებს გაუადვილებს თქვენთან დაკავშირებას.

აღსანიშნავია ისიც, რომ გარემოსდაცვითი სტანდარტების დარღვევა იწვევს ადმინისტრაციულ და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას.

ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობების ნარჩენების დამუშავების ზოგიერთი აუცილებელი მოთხოვნა

შეგროვებული ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობების ნარჩენებიდან ამოღებული უნდა იყოს სულ მცირე შემდეგი ნივთიერებები, ნარევები და კომპონენტები:

- პოლიქლორირებული ბიფენილების (ზეთების) შემცველი კონდენსატორები და სხვა მოწყობილობები
- ვერცხლისწყლის შემცველი კომპონენტები, როგორიცაა ჩამრთველები ან უკანა მხრიდან მანათობელი ნათურები
- ოზონდამშლელი აირები როგორიცაა, მაგალითად, ქაფებსა და სამაცივრე დანადგარებში არსებული აირები
- ბატარეები
- მობილური ტელეფონების, ან სხვა მოწყობილობების დაბეჭდილი მიკროსქემის დაფები, თუ დაბეჭდილი მიკროსქემის დაფის ზედაპირის ფართობი 10 სმ^2-ს აღემატება
- ტონერული კარტრიჯები, თხევადი ან პასტისებრი, აგრეთვე ფერადი ტონერები
- აზბესტის ნარჩენები და აზბესტის შემცველი კომპონენტები
- კინესკოპები
- გაზ-განმმუხტავი ნათურები
- თხევად-კრისტალური ეკრანები, რომელთა ზედაპირის ფართობი 100 სმ^2-ზე მეტია
- გარე ელექტრო სადენები
- ცეცხლგამძლე კერამიკული ბოჭკოების შემცველი კომპონენტები
- ელექტროლიტური კონდენსატორები, რომლებიც შეიცავენ სახიფათო ნივთიერებებს

აღნიშნული კომპონენტები და სახიფათო ნარჩენები უნდა დამუშავდეს ეროვნული კანონმდებლობის ნორმების გათვალისწინებით ან გადაეცეს შესაბამისი ნებართვის მქონე ობიექტს.

ცხელი ხაზი

საკონტაქტო ინფორმაცია

153 ან **1501**

ნარჩენების მართვის კოდექსის და სხვა შესაბამისი რეგულაციების შესახებ განმარტებების თაობაზე დარეკეთ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცხელ ხაზზე.

GEO.ORG.GE

მომზადებული და გამოცემულია ორგანიზაცია Georgia's Environmental Outlook- ის მიერ გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და შვედეთის მთავრობის ხელშეწყობით. გამოთქმული მოსაზრებები ავტორისეულია და შეიძლება არ ასახავდეს დონორი ორგანიზაციების თვალსაზრისს.